

# სასაღხეო ზაფხუმი

სუკათეპიანი დამატება

გაზეთის № 214.

კვირა, 23 იანვარი 1911 წ.

დამატების № 37



მოლოდინი. — ნახატი რაუპისა,

## გაკუორღეთ!

„შეგების თავადიდან“. (პროლოგი)

ჩვენი ტაძარი, სავედრებელი,  
მთის წვერვალზეა განმარტოებით,  
მხოლოდ რჩეულნი თუ მიიგნებენ,  
მორთავენ—წმინდას—ბზისა რტოებით.

მრავალთათვის კი სამარადისოდ  
იგი დარჩება მიუწვდომელი,  
ბრბო ვერ მიჰხვდება მის სიდიადეს,  
რაზომ გულითაც იყოს მდომელი.

რომელ სახელსაც ეხლა ატარებ,  
მაგ წოდებისა სხვაც იყო ერთი;

მან განანათლა ძველი კოლხეთი  
და სათაყვანოდ სხვა მოსცა ღმერთი,  
მაგრამ შენ—პირველს ვით შეგადარო,  
მეტად მწე მექმენ, ღმერთსა მადარე;  
თვით სალოცავი შეიქვენ წმინდა,  
ხიდი ზესკნელი გადამატარე.

დაე შემდგომად შთამომავლობამ  
ჰპოვოს ბუნების სარკე დიადი,  
შიგ ჩაიხედოს და დაინახოს  
შენი სიტუარფე, ვით განთიადი!  
ოჰ, ნურ ვინ იტყვის, ისე მიყვარდე,  
ვით ტრფივალ იყვენ ვისი და რამინ;  
არ მსურს შეჰბლალონ შენი სახელი...  
წმინდა ხარ, ჩემო!.. წმინდა ხარ, ამინ!..

იქმნებ ოდესმე ჩემს ნათელ ჰანგსა  
მტერი აღუჩნდეს, გრძნობა ჩამქრალი,  
და სთქვას სიბრაზით: რა მოუჩმახავს,  
მგოსანი ესე არის საბრალი!

ვაი მის ქადრს!.. რაზედ უცილობს!  
როს თვით დროისთვის დაკარგულია?  
სოფელს ამშვენებს სული სვეტაკი,  
და ყოვლად შემძლე სიყვარულია!..  
ასე ყოფილა: როს ვარდი ჰყვავის,  
ნორჩი—ცის მიმართ მისწრაფება,

მაგრამ ფურცელი თუ ქცობას იწყებს—  
ფერფლი ქართაგან განიფანტება!

ჩვენ კი—ყრმანი ვართ, ახლად ვიშვებით,  
ვერც თუ სიკვდილი მოგვედავება;  
მგესლავი ენა ვერას დაგვაკლებს,  
ნექტარსა გვასმევს თვით უკვდავება...


ჰოი, ოცნების სრულო იმედო,  
მწუხრის ზეწარი აჰხადე ცისკარს:  
როს შეგიყვარე, რად არ ვიცოდი  
გესროდნენ შხამში ნალესსა ისარს.

ფუქის ცხოვრების თავგასულ შვილთა  
ზიზლსა ჰგვრის ჰანგი ზექვეყნიური:  
მიტომ შეეძაღლით, გამოიღო ვიქმენით,  
რომ გულს აღგვენთო ცეცხლი ციური.

შეურაცხყოფას, ჟამთა სიწარეს,  
დამქნარ იმედთა ვარსკვლავის ცილს,  
გახრწნილ დიდების წამით დატკობას,  
ბილწ ბრბოთა სურვილს, ცხოვრების ტრიალს,—  
წამო, გავშორდეთ! გზას გადვუხვიოთ  
სამყარო ძვექმნათ სხივ-მომდინარე,  
კოშკი ავაგოთ მარგალიტითა,  
რომ ვნების ტალღას სცემდეს მდინარე.  
იმ დღისა შემდეგ ორმა მიჯნურმა —  
მაგრამ სრულყოფამ ერთარსებისამ,  
მწყობრად იმღეროს და ხმა გამოსცეს  
გამოძახილმა უკვდავებისამ...

1910 წ. მაიხი.

ა. შანშიაშვილი.



### ჩემი ქოხი

(გუძღენი ბ. პელაშვილს)

სევდის ქარი სისინებს, მწარედ მოსთქვამს, ქვითინებს,  
ხან გრძნებით გაიცინებს, შორით გადმონაქროლი,  
აღლის ჩემ ქოხს ბულულსა, ნესტით დაობებულსა,  
უღვთოდ მიტოვებულსა დაჰფრენს ფიქრი ობოლი.  
აჰა ერთიც დაჰბერა, ძალუმად დაეძგერა,  
ახ, ვერ უძლებს ის, ვერა, წაიქცევა კიდეცა,  
მოსხლტა... ამოიგმინა... დაიმსხვრა ჩემი ბინა,  
ქარმა კვლავ დაისტინა, შეაქროლა კიდეცა.

ის ოხვრა მომესმა, გული შხამით მეცარა,  
სულმა კვლავ იმკენესარა, გაბედითდა ნუგეში,  
სიმნი ჰკვენსენ მწუხარედ, ძალას ვერ ვგრძნობ სულ-  
თქმად,

სიცოცხლე რბის უქმად, ვსცურავ ცრემლის გუბეში.  
ეჰ, ავ-ბედის წერაა, უნუგეშო ძგერაა,  
ეგ სევდის სიმღერაა, გულით ამონაკვნესი,—  
ჩემო ქოხო ე შენც ასე შენს ტიალ ხვედრს დაჰკვნესე,  
ცრემლები დამაკვეთე... დღე მადგას უარესი.

ჩვენ ცხოვრებამ გაგვყარა, ტანჯვა აღარ გვაკმარა,—  
მოჰკვდა ჩემი პატარა,—შენც დაჰღვარე ცრემლები,  
გახსოვს შავით შეგმოსე, ჩემსავით დაგოსე,  
ობობა გიუფროსე მტვრიან ქსელის მომდები?  
ახ, რად მსურს მოგონება,—მოიწაძლა გონება,  
სულს ოხვრა ეკონება, ბედით წამონაქროლი,  
ჩამწყდა შვების ძაფები, მესმის მწარე ჰანგები,  
ჭანჯვით სულს ვლევ... ვთავდები... უთვისტომო ობოლი...  
6. ჩხიკვაძე.



თუმც შემოდგომამ ჩემს ყვავილს  
დაუქნო მწვანე ფოთოლი,  
რა ვუყოთ! შენ ხომ მიყვარხარ,  
შენთვის ჰედერს ქნარი ობოლი.

დაე, ვიტანჯო სასტიკად,  
მოკვდე სახმილის აღითა,  
ოღონდ შენ გადმომხედევი,  
ტურფავ, მოწყალე თვალითა.

Artemius

### სიყვარული

(თარგმანი)

1

შორს, შორს, ერთ პატარა მივიწყებულ სოფელში,  
რომელიც მდებარეობს პირინის გორებს შუა და გადაჰყუ-  
რებს მუდამ მღელვარე ოკეანს, მიაბო ეს პატარა ანბავი  
იქაურმა მოძღვარმა ფრა-ბენარდომ ტულუზშიდამ.

ვარსკვლავებით მოქედილ ერთ წყნარ საღამოს, ზეთ-  
ლემს მიმავალ კლდოვან ბილიკზედ ორი მგზავრი მიდიოდა.

ერთი მათგანი იყო წარმოსადგეი, წყნარ და ამაყის  
შეხედულობისა. შუბლზედ მას ედგა გვირგვინი მუხის ფოთ-  
ლებსა და ზურგზედ ეკიდა სასწორი სიმართლისა.

მეორე იმავე ხნიერებისას ჰგავდა, მაგრამ იმისი გაფით-  
რებული სახე უკვე დაღარული იყო და მისი უსისხლო ტუ-  
ჩები მოკუმული იყვნენ მწუხარებით...

პირველს ერქვა ცოდნა;

მეორეს—ექვი.

ესენი ერთმანეთის მტრები იყვნენ, ორი მოსისხლე მტე-  
რი, რომელნიც თავის დღეში ვერ სთავსდებოდნენ ერთად...  
მაგრამ, მაინც მოუშორებლივ ერთად იყვნენ. განუყრე-  
ლად, შეერთებულნი, ხელი-ხელ გაყრისნი მოგზაურობდნენ  
ისინი მთელ ქვეყანაზედ.

რასაც კი მოიპოვებდა ცოდნა,—სუყველაფერში შხამს  
ასხავდა ექვი.

მაგრამ ცოდნა უკუაქცევდა ყოველგვარ ეჭვს და წინ  
მიდიოდა.

და ასე მიდიოდნენ ხელი-ხელ გაყრისნი და აერთებ-  
დნენ გამარჯვებას და დამარცხებას, სიმართლეს და ცრუ-  
მორწმუნეობას, სიცოცხლეს და სიკვდილს...

2

ნელა ნელა მიდიოდნენ მგზავრები ხრიოკ გზაზედ...  
ვარსკვლავები ციალობდნენ შავ-ლურჯ ცაზედ და გზას  
უნათებდნენ.


ღამის მყუდროებაში თვით ჯიანჭველის მოძრაობაც კი  
ისმოდა.

— იუდის ქვეყანა დაღუპულია!—სთქვა იმან, რომელ-  
საც ერქვა ცოდნა.

— იუდის ქვეყნის დაღუპვა—დაუშრეტელი სიცოც-  
ხლეა, — მიუგო მეორემ.

— რა გინდა მაგითი სთქვა? — ჰკითხა პირველმა  
მწუხარებით,

— გაიგებ, როდისმე!.. უთუოდ გაიგებ! უპასუხა ექვმა.



— ვგვიტყვს აღარ აქვს სარწმუნეობა!  
— მე ვიწინასწარმეტყველე, რომ იმათი აპირი მხოლოდ ხარია.

— ღმერთები საბერძნეთის და რომისა მტვერში ჰყრიან!  
— ეგ მე მოვიქაედე.  
— მე მოველ იმათ შეგნება სინამდვილისა!  
— უფრო ადრე მე მოვწამლე ექვიანობით იმათი კმაყოფილება!

— რა იქნება ეხლა?

ასე მიახლოვდნენ მგზავრები ბეთლემს.

3

ერთ ღარობ სადგურთან, საიდგანაც მოისმოდა ბატკნების ბლავილი, ისინი შეხვდნენ სამს მდიდრულად ჩაცმულ მოგვეს. ცაზე ბრწყინავდა ვარსკვლავი, რომელიც წამს წინად არ მოსჩანდა.

— აქ რა ანბავია?—იკითხეს მგზავრებმა.

— აქ მოვლინებულ არს უფალი—უბასუხა უმფროსმა მოგთვთავანმა.

— უფალი?—სთქვა პირველმა, რომელსაც ერქვა ცოდნა,—მე ვიცნობდი მრავალ ღმერთებს.

— ღმერთი?—გაიმეორა მეორემ, რომელსაც ერქვა ექვი—მე მრავალი ღმერთი დავამხე.

— რა ჰქვიან ახალ უფალს?

— რა ჰქვიან?

— იმას ჰქვიან **სიყვარული**!—მიუგო უმფროსმა მოგვემ—  
— **სიყვარული**!—გაიმეორეს მეორეებმა და სუყველანნი გაჩუმდნენ.

მგზავრები კი, რომელთაგანს ერთს ერქვა ცოდნა და მეორეს ექვი, ნელა-ნელა განშორდნენ და ფეხის აკრფვით გაუდგნენ კლდოვან ბილიკს.

4

მაგრამ შორს არ წასულან.

ვარსკვლავნი ნათლად ტიალობდნენ შავ-ლურჯ ცაზე და იყო სიჩუმე ისეთი, რომ ისმოდა ფორთხვა ქიანქველისა.

— იცი რა არის **სიყვარული**?—ჰკითხა მეორემ

— არა არ ვიცი, თუ რა არის სიყვარული... მაგრამ შენ, შენ... შენ უკვე ექვიანობ?

— არა! პირველად ჩემ სიცოცხლეში მე არ ვიქვენეულლობ... მე კმაყოფილი ვარ...

— მე კი...

და ამის შემდეგ აღარ უთქვამთ აღარც ერთი სიტყვა და თითქო შეთანხმებით უკუ ბრუნდნენ სადგურისაკენ.

ისინი მიუახლოვდნენ მის კარებს და ემთხვევნენ მას.

ცოდნამ მუხლი მოიდრიკა სიყვარულის წინაშე... ექვამც თავი დახარა. ცაზედ ბრწყინვალედ ანათებდა ვარსკვლავი, რომელიც იმას წინად არ მოსჩანდა...

და იყო ღუმილი ისეთი, რომ მოისმოდა ცოცვა ქიანქველისა...

ეკ. გაბაშვილისა.



# ზ ღ ვ ა უ ი..

ზღვის ნაპირას ორი ქალწული იჯდა... ორთავ მშვენიერება ზღვასა ჰგავდა. ზღვა იყო მშვიდი, წყნარი, ღრმა და ჩაფიქრებული. წყლის ნელო რხევა ნათელ-ჰყოფდა მის ფიქრებსა და სიღრმეს ლიკლიკა ქვები, რომელნიც ტალღების დროს მოსვენებას არ აძლევდნენ კიდევს, ეხლა სდუმდნენ და ზღვის ზღაპარს გულმოდგინედ უგდებდნენ ყურს.

ქალწულნიც მშვენიერნი იყვნენ... ორივენი თეთრ სამოსელში გახვეულიყვნენ, ხშირი გიშრის თმა მთელ ტანს ერთ-



სამამოღლებელი ქართველები.

ყათ... ქალწულები ზღვის ნიშნებს ჰგავდნენ. მათ სახეზე ნათლად იკითხებოდა სიყვარული, სიყვარული მალალი, გასპეტაკებული, ღვთაებრივი.

ნაზი სიმღერა, რომელიც მათ ღვთაებრივ ტუჩებიდან მოისმოდა, ანგელოზთა გუნდის გალობას უდრიდა. ქვეყანას ქრისტეს დაბადება ახარეს...

შორი-ახლოს რაღაც ბელტი ეგდო... ალბად ადამიანის ხელს იგი ზღვისაკენ გადაესროლა, მაგრამ ვერ მიღწეოდა და ხრიოკ ქვებზე ობლად ეგდო.

ბელტი შრებოდა და ზედ ამოსული ია დღითი-დღე სქკნებოდა...

— ახ! ერთი წვეთი ნამი!—ამოიკვნესა იამ და მწარედ ჩაჰკიდა თავი.

ქალწულები სიმღერას განაგრძობდნენ ერთს ხელთ ეპყრა თასი, სადაც უკვდავების წყალი იდგა...

დიდხანს იმღერეს... ბოლოს აიმართნენ და, სიყვარულის ნიშნად, ზღვას უკვდავების წყალი შეაწვეთეს...

— ახ, ნეტავ მეც მარგუნებდე!—წაილულლულა იამ.

ზღა იზრზდებოდა. თეთრი ქვები გულმოდგინედ ისმენდნენ მათ ზღაპარს... ნული ტალღები, იღუმლობით სავსენი, ოდნავ ირხეოდნენ უკვდავების წვეთი განიბნა მათ კალთებში. ია?—იგი ისევე ძირგამხმარი გაჰყურებდა ზღვის სივრცეს...

სერ. კლდიაშვილი.



# წერილი აშბაბი

შობენას „სამგლოვიარო მარშის“ წარმოშობა

„Annales“-ში მოყვანილი საყურადღებო ცნობა, თუ როგორ დასწერა შობენმა თავის შესანიშნავი „სამგლოვიარო მარში“. ამ ცნობას იძლევა მხატვარი ციმი, რომელიც დღესაც ცოცხალია.

სალამოთი, — ამბობს ციმი, —პოლია ვალდრომთან ესადილობდით. ჩემთან იყვნენ: პრინცი პოლინიაკი და გრაფი ლუდრი. სადილის შემდეგ სალაპარაკო მასალა შემოგველია და მე მომინდა რაიმე სისულელის ჩადენა. გამოვათრიე ადამიანის ჩონჩხი და მასთან ჰიდაობა დაევიწყე. პოლინიაკმა გაიცინა, გამომტაცა ჩონჩხი და პიანიონს მოუსვა და მისი თითები კლავიშებს დაარტყა. ჩავაქრეთ სანთელი და ბნელაში ყურს კუვდებდით ამ სამარის მუსიკას.

რამდენიმე ხნის შემდეგ შობენიც შემოვიდა. ის ამღვრეული იყო და სევდა-ნადველს იგონებდა, რომელიც თურმე წინა დამეს მოსვენებას არ აძლევდა და თან არა ჩვეულებრივი ჩვენებანი ელანდებოდა. მე ვუამბე ჩონჩხის ამბავი. შობენი შეკრთა.

მოითხოვა ჩონჩხი მოგვეტანა. კვლავინდებურად დავსვით პიანიონსთან. რაც წინად ჩვენ სამასხაროდ მოვიმოქმედეთ, ეხლა მან სულ სხვანაირი ხასიათი მიიღო—სევდიანი, სამწუხარო და საგლოვიარო. გაფითრებულმა შობენმა მგზნებარე, ცუცხლის მფრქვეველ თვალებით წამოიბურა სუდარა, მიეკრა ჩონჩხს და გაისმა სამგლოვიარო, სულის დამადონებელი და თან მომზიბლავი ხმები.

ამ დროს შეიქმნა ის უკვდავი „სამგლოციარო მარში“, რომელსაც მთელი კაცობრიობა იცნობს. ხმები მისწყდა. მივცვივდით შოპენს და ის სუდარის ქვეშ გაფითრებული მართლა მიცვალვებულსა ჰგავდა, ღონე კი სულ მთლად გამოჰკლვოდა.

**არაჩვეულებრივი სოფელი**

საფრანგეთის სენტი-ი-უაზის დეპარტამენტში ყოფილა ერთი სოფელი, რომლის სახელიც ძალიან ძნელად გამოითქმება. ამ სოფელს ჰქვამდებოდა „ვის“. მაგრამ უფრო შესანიშნავი ყოფილა მეორე სოფელი „ორმუა-ან-ბრი“, სადაც მხოლოდ ერთს ადამიანს უცხოვრია—სახელად „მოშოსე“

მას საოლქო მამასახლისის თანამდებობაზე თავისი კანდიდატურა წამოუყენებია და თვითონვე აუარჩევია. მისი თანამდებობა რამდენიმე ადგილობრივ დოკუმენტით ყოფილა დამტკიცებული, რომელნიც ღღემდე არხივში ინახება.

მოშოსეს საფრანგეთის რევოლუციამ უსწრო. გენერალურ შტაბის მოწვევამდე მთავრობამ ბრძანება გასცა უძრავ მამულების ნუსხა


შედგინათ. ყველგან ამ ბრძანებამ დიდი არეგ-დარევა გამოიწვია. ხოლო მოშოსემ თავის მამულის ნუსხა შეღავათიანად შეადგინა და არც ვინმე მოწინააღმდეგე გამოჩინია.

ცოტა ხნის შემდეგ ლიულოვიკ მე-XVI ბრძანება გასცა გენერალურ შტაბის მოსაწვევად, ესეთი ბრძანება მოშოსესაც მოუვიდა და დიდის ხმით თავის თავს წაუკითხა. შემდეგ ბატის ფრთით აღწერა ყოველი საჭიროება თავის სოფლისა გენერალურ შტაბში წარსადგენად, მაგრამ დახვთ უბედურობას, რომ ეს აღწერა ორ დეპუტატს უნდა წარედგინა. მოშოსემ ყოველი ღონე ინმარა, მაგრამ ორი დეპუტატი ვერსად აღმოაჩინა, დაარღვია მეფის ბრძანება და თავის თავი თვითონ გაგზავნა პარიზში კრებაზე დასასწრებლად.

პარიზში დღესაც ინახება შტაბის ბრძანება, რომელიც თავის თავისთვის თვითონვე დაუწერია სატახტო ქალაქში გამზავრებამდე.



**ჩვენი ნახარკეჟი ინტელიგენტები**



ღვინოვ კახურა, კარდენახულა, ვარ შენი მსმელი!

„ახე ამბობდა ნაცარქეჟია“



ფული რომ მომცა, ჩინეთში უამს შევებრძოლებოდი, ინგლისში უნივერსიტეტს ავაშენებდი, საფრანგეთში რესპუბლიკის პრეზიდენტს სადილად დავპატივებდი, ოსმალეთში არამხანს გავიჩენდი, ხოლო საქართველოში კი რუხულ გაზეთს გამოვცემდი!


„ახე ამბობდა ნაცარქეჟია“



ფულის წაგება კარტის თამაში.. საკრებულოში და თუნდ „ამიშ“ ნანად ჩამყვება მე თვით საფლაგში!

„ახე ამბობდა ნაცარქეჟია“.

**კახეთის რკინის გზის საარსებლო პროგნოზი**



არტელის მეთაური საით ისწრაფებინა? „საზოგადო საქმისთვის“ ნუ თუ იწირებინა? კახეთის რკინის გზისთვის რაზედ იოფლებინა? — ჭკუას არ წააგებენ, —სარფას ელოდებინა!..